



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო



# ფოთის საკრებულოს საქმიანობის შეფასება

# სარიკვი

შესავალი: _____	3
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ფოთის საკრებულოს შესახებ _____	6
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები _____	9
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა _____	10
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი _____	13
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა _____	14
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში _____	16
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში _____	17
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა _____	18
თავი 10. ქალაქ ფოთის საკრებულოს ხარჯები _____	19
რეკომენდაციები _____	23

## შესავალი:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აფასებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მონვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს (შემდეგში ფოთის საკრებულო) საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით დროის მონაკვეთს.

## თავი 1. ძირითადი მიზნები

- ფოთის საკრებულო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელ ორგანოზე და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ პირებზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა, საკრებულოუმეტეს შემთხვევაში ფორმალურად აკონტროლებდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა საქმიანობას;
- ფოთის საკრებულოს ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოუვლენია;
- საანგარიშო პერიოდში ფოთის საკრებულოს სხდომათა (61 სხდომა) ნახევარზე მეტი რიგგარეშე (35 სხდომა) იყო;
- ამავე პერიოდში ფოთის საკრებულომ 90 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 77 დადგენილების ავტორი/ინიციატორი იყო ფოთის მერი, 13 დადგენილებისა კი - საკრებულოს ცალკეული კომისიები;
- ფოთის საკრებულოში პრობლემურია თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის არასრულად შევსება: 17 თანამდებობის პირიდან 5-მა ქონებრივი დეკლარაცია არასრულად შეავსო;
- ამავე პერიოდში საკრებულოს 5 ფრაქციიდან ინიციატივა მხოლოდ 2-მა წარადგინა - “ქართულმა ოცნებამ” და “ფოთმა” (2 წევრი არის “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი, 1 კი ლეიბორისტული პარტიის), ფრაქციებს - “ქართული ოცნება - კონსტრუქტორები”, “ქართული ოცნება - მრეწველები” და “კოლხეთი” (2 წევრი წარმოადგენს “შენების მოძრაობას”, 1 კი “ევროპულ საქართველოს”) საკრებულოსათვის არც ერთი ინიციატივით არ მიუმართავთ;
- ფრაქციათა მიერ განუული საქმიანობის მინიმალური მაჩვენებლის პარალელურად, შეუსაბამოდ დიდია მათ ფუნქციონირებაზე განუული ხარჯები, რომელმაც ჯამში 560,090 ლარი შეადგინა;
- ფოთის საკრებულოში მუშაობს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის სამოქმედო გეგმა საკრებულომ 2019 წლის 26 ივნისს დაამტკიცა. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ძირითადი ნაწილი წინამდებარე კვლევის საანგარიშო პერიოდის შემდგომ დროზეა გათვლილი;
- საკრებულოს წევრებმა ჯამურად საკრებულოს სხდომები 373-ჯერ გააცდინეს, მათ შორის 341-ჯერ არასაპატიო მიზეზით. კომისიების სხდომების გაცდენის 529 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 495-ჯერ არასაპატიო მიზეზით;
- საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა (42 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია “ქართული ოცნების” წევრმა აპოლონ ბჟალავამ გააცდინა, კომისიის ყველაზე მეტი სხდომა კი არასაპატიო მიზეზით ფრაქცია “კოლხეთის” თავმჯდომარემ, მაია ჩხარტიშვილმა გააცდინა. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრთა შორის თამარ თოფურია ერთადერთია, რომელსაც კომისიის სხდომები არც ერთხელ არ გაუცდენია.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფოთის საკრებულოში გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ 1,921,546 ლარი შეადგინა, პრემიის და სახელფასო დანამატის სახით საკრებულოს თანამდებობის პირებმა და აპარატის თანამშრომლებმა ჯამში 167,550 ლარი მიიღეს;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფოთის საკრებულომ 34,8 ტონა სანვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **68,303** ლარი შეადგინა, აქედან 14 ტონაზე მეტი (14,131 ლიტრი) სანვავი (ჯამური ღირებულებით - 30,222 ლარი) ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ, ირაკლი კაკულიამ გახარჯა.

## თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ფოთის საკრებულოს შესახებ

ფოთის საკრებულო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ [უფლებამოსილებებს](#) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ფოთის საკრებულოში 25 წევრია, რომელთაგან 10 აირჩევა ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო 15 წევრი – პროპორციული წესით.

საკრებულოს წევრთა შორის მხოლოდ 4 ქალია, რაც საერთო რაოდენობის 16%-ია. საკრებულოს თანამდებობის პირებს შორის მხოლოდ ერთია ქალია - ფრაქცია “კოლხეთის” თავმჯდომარე მათა ჩხარტიშვილი.

საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. ფოთის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი კომისიები:

1. იურიდიულ, სამანდატო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე ხვიჩა ცხვიტარია)
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე თორნიკე კირთაძე)
3. სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე ბაქარ ერაგია)
4. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია (თავმჯდომარე თორნიკე შონია)
5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია (თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე)

საკრებულოში ფუნქციონირებს 5 ფრაქცია:

ფრაქცია	თავმჯდომარე
ქართული ოცნება	ზურაბ ჩაჩუა
ქართული ოცნება-კონსერვატორები	ზვიად დგებუაძე
ქართული ოცნება - მრეწველები	ჯემალ მიგინეიშვილი
ფოთი	დათო ხომერიკი
კოლხეთი	მაია ჩხარტიშვილი

ფრაქცია “ქართული ოცნება-კონსერვატორების” გარდა, ყველა ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარეს კი - ორი მოადგილე.

ჯამში ფოთის საკრებულოში 25 წევრიდან თანამდებობას 17 წევრი იკავებს, კერძოდ:

<b>სახელი/გვარი</b>	<b>თანამდებობა</b>	<b>არჩევის თარიღი</b>
ირაკლი კაკულია	საკრებულოს თავმჯდომარე	20.11.2017
აკაკი დარჯანია	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	20.11.2017
<b>კომისიის თავმჯდომარეები</b>		
ხვიჩა ცხვიტარია	კომისიის თავმჯდომარე	22.11.2017
ბექა ვაჭარაძე	კომისიის თავმჯდომარე	22.11.2017
თორნიკე შონია	კომისიის თავმჯდომარე	22.11.2017
ბაქარ ერაგია	კომისიის თავმჯდომარე	22.11.2017
თორნიკე კირთაძე	კომისიის თავმჯდომარე	22.11.2017
<b>ფრაქციის თავმჯდომარეები და თავმჯდომარის მოადგილეები</b>		
ზურაბ ჩაჩუა	„ქართული ოცნება“ - თავმჯდომარე	13.12.2017
ზვიად დგებუაძე	„ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - თავმჯდომარე	13.12.2017
ჯემალ მიგინეიშვილი	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარე	13.12.2017
დათო ხომერიკი	„ფოთი“ - თავმჯდომარე	27.12.2017
მაია ჩხარტიშვილი	„კოლხეთი“ - თავმჯდომარე	31.01.2018
სამსონ კუტალია	„ქართული ოცნება“ - თავმჯდომარის მოადგილე	09.01.2018
თორნიკე ხარჩილავა	„ქართული ოცნება“ - თავმჯდომარის მოადგილე	08.02.2019
დავით ესებუა	„ქართული ოცნება - მრეწველები“ - თავმჯდომარის მოადგილე	09.01.2018
მამუკა ხორავა	„ფოთი“ - თავმჯდომარის მოადგილე	09.01.2018
პაატა ჩაგანავა	„კოლხეთი“ - თავმჯდომარის მოადგილე	31.01.2018

## **ზოგადი სტატისტიკა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა საკრებულოს 62 სხდომა, მათ შორის ნახევარზე მეტი - 35 სხდომა რიგგარეშე იყო. რიგგარეშე სხდომების ინიციატორი იყვნენ მერი (12 შემთხვევაში), საკრებულოს თავმჯდომარე (7 შემთხვევაში) და მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ერთობლივად (16 შემთხვევაში). საანგარიშო პერიოდში კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა საკრებულოს არც ერთი სხდომა. ამავე პერიოდში ჩატარდა ბიუროს 62 სხდომაც.

<b>ფოთის საკრებულოს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით</b>		
<b>2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)</b>	<b>2018 წელი</b>	<b>2019 წელი</b>
5	13	17

საანგარიშო პერიოდში ფოთის საკრებულომ 90 დადგენილება მიიღო, რომელთაგან 77 დადგენილების ავტორი/ინიციატორი იყო ფოთის მერი, 13 დადგენილებისა კი საკრებულოს ცალკეული კომისიები.

ფოთის საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებიდან ზედამხედველობის ორგანომ მოამზადა 4 უარყოფითი დასკვნა, რომელთაგან ერთი ფოთის საკრებულომ არ გაითვალისწინა, საკრებულოს მიერ მომზადებული მოტივირებული უარი კი ზედამხედველობის ორგანომ გაიზიარა.

საანგარიშო პერიოდში ფოთის საკრებულოში სულ დარეგისტრირდა 4 პეტიცია, რომელთაგან 3-ს საკრებულომ მხარი დაუჭირა, 1 კი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.



## თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები

### **საკრებულოს თავმჯდომარის დაკავება:**

2019 წლის 8 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი კაკულია [დააკავა](#). საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ირაკლი კაკულიამ ფოთის მერის პოზიციაზე მუშაობის დროს, მერიის სხვა თანამშრომლებთან ერთად ჯამში 528 821 ლარი გაფლავა, საიდანაც, მათივე მტკიცებით, კაკულიამ 170 ათასი ლარი [მიიტვისა](#).

### **ცვლილებები ფოთის საკრებულოს შემადგენლობაში:**

ფოთის საკრებულოში 2017 წლის დეკემბერში პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდა საკრებულოს წევრს “შენების მოძრაობიდან” იაკორ თავართქილაძეს და იგი ჩაანაცვლა ამავე პარტიიდან პაატა ჩაგანავამ.

2018 წლის აგვისტოში ასევე პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება საკრებულოს წევრს ოთარ ხარჩილავას (პარტია “დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო”) და იგი ჩაანაცვლა ამავე პარტიიდან თორნიკე ხარჩილავამ. თორნიკე ხარჩილავა საკრებულოს წევრად გახდომის შემდგომ “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრი გახდა და დღეს ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას იკავებს.

### **სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფოთის საკრებულომ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა:

- ქალაქ ფოთში, “9 აპრილის ხეივანში” არსებული 10,807.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო [დანიშნულების მიწის](#) ნაკვეთი;
- ავტობუსი (ZONDA BUS, YCK6850HC2), შემდგომში აბაშის მერიისთვის გადასაცემად
- ქალაქ ფოთში, დავით კლდიაშვილის N56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის [ნაკვეთი და შენობა](#);

## თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

### საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ფოტის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ 230 სხდომა გამართა. კვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა. ჯამში კი კომისიებმა საკრებულოს წარუდგინეს სამართლებრივი აქტის 83 პროექტი, ასევე მოამზადეს 404 დასკვნა საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

საკრებულოს კომისიათა სხდომების რაოდენობა					
წელიწადი	იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	სოციალურ საკითხთა კომისია	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	19	3	6	3	5
2018 წელი	16	11	26	16	20
2019 წელი	18	21	25	18	23
<b>ჯამი:</b>	<b>53</b>	<b>35</b>	<b>57</b>	<b>37</b>	<b>48</b>

კომისიათა მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტების რაოდენობა					
წელიწადი	იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	სოციალურ საკითხთა კომისია	ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	13	0	3	0	0

2018 წელი	13	2	9	6	0
2019 წელი	2	17	11	3	4
<b>ჯამი:</b>	<b>28</b>	<b>19</b>	<b>23</b>	<b>9</b>	<b>4</b>

**საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:**

ფოთის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში სულ ხუთი ფრაქცია ფუნქციონირებს, ამათგან 3 ფრაქციას რეგისტრაციის დღიდან 2019 წლის ჩათვლით არც ერთი საკითხის ინიცირება არ მოუხდენია.

ფოთის საკრებულოს ფრაქციებმა საანგარიშო პერიოდში მხოლოდ სამი საკითხი წამოჭრეს. ფრაქცია “ქართულმა ოცნებამ” შემდეგი ინიციატივებით მიმართა საკრებულოს:

- მალთაყვის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ
- ქალაქში რაგბის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

ფრაქცია “ფოთის” ინიციატივას წარმოადგენდა საკითხი “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების” შესახებ.

სამივე შემთხვევაში საკრებულომ მიიღო შესაბამისი განკარგულება.

<b>ფრაქცია</b>	<b>ინიცირებული საკითხების რაოდენობა</b>
“ქართული ოცნება”	<b>2</b>
“ქართული ოცნება-კონსერვატორები”	<b>0</b>
“ქართული ოცნება-მრეწველები”	<b>0</b>
„ფოთი“	<b>1</b>
“კოლხეთი“	<b>0</b>
<b>სულ ინიცირებული საკითხები</b>	<b>3</b>

2019 წლის ნოემბერში ფრაქციებმა “ქართული ოცნება”, “ქართული ოცნება-კონსერვატორები” და “ქართული ოცნება-მრეწველები” მოამზადეს დასკვნები ფოთის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე.

ფრაქციათა მიერ გაწეული მინიმალური საქმიანობის პარალელურად, შეუსაბამოდ დიდია მათ

ფუნქციონირებაზე ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ განეული ხარჯები, რომელმაც ჯამში 560,090 ლარი შეადგინა, კერძოდ:

<b>ფრაქციათა საქმიანობაზე განეული ხარჯები</b>					
<b>წელინადი</b>	<b>სატელეფონო კომუნიკაცია</b>	<b>მივლინებები</b>	<b>სანჯავის ღირებულება</b>	<b>სახელფასო ანაზღაურება</b>	<b>პრემია</b>
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	0	60	147	3,886.3	7,200
2018 წელი	4,031	195	15,376	207,215	21,300
2019 წელი	3,116	0	18,519	279,045	0
<b>ჯამი:</b>	<b>7,147</b>	<b>255</b>	<b>34,042</b>	<b>490,146.3</b>	<b>28,500</b>

## თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონსტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულო აკონტროლებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობას, ისმენს და აფასებს მათ ანგარიშებს,<sup>1</sup> მერი კი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.<sup>2</sup>

ფოთის 2017 წლის მოწვევის საკრებულომ სულ მოისმინა და დადებითად შეაფასა ფოთის მერის, მერიის ცალკეული თანამდებობის პირთა და მუნიციპალური იურიდიული პირების 15 ანგარიში. ასევე საკრებულომ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები ცალკეული საკითხების განხილვის მიზნით 73-ჯერ მოიწვია.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს, მერს და სხვა თანამდებობის პირებს კითხვით საკრებულოს მხოლოდ 14 წევრმა მიმართა.

საკრებულომ (როგორც კომისიებმა, ასევე ცალკეულმა ფრაქციებმა) ფოთის მერიას სულ 97 შენიშვნა წარუდგინა ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, რომელთაგან მერიამ 30 შენიშვნა გაითვალისწინა (2017 წელს 23 შენიშვნიდან - 20, 2018 წელს 27 შენიშვნიდან - 10, 2019 წელს 47 შენიშვნიდან - 28).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფოთის საკრებულომ მერის მიერ წარდგენილი საკითხებიდან სამს არ დაუჭირა მხარი, 2017 წელს საკრებულომ უარყო მერის ინიციატივა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვასთან დაკავშირებით ცალკეული საკითხის მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, 2019 წელს კი მერს უარი ეთქვა ფოთის საკუთრებაში არსებული ხის გადასატანი კოტეჯის სახელმწიფოსთვის გადაცემაზე, ასევე საკრებულოს ერთ-ერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე.

ფოთის 2017 წლის მოწვევის საკრებულოს ასევე არ გამოუვლენია გადაცდომები მერის საქმიანობაში, ინტერესთა კონფლიქტი ან/და თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტები. ასევე, საკრებულოს [ინფორმაციით](#) “საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის/ინტერესთა კონფლიქტის შესახებ გადაცდომებს ადგილი არ ჰქონია”.

თუმცა, საპირისპიროს დასტურია, ერთის მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნები და, მეორეს მხრივ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ფოთის ყოფილი მერის - შემდგომში საკრებულოს თავმჯდომარის, ასევე მერიის ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების დაკავების ფაქტები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის თებერვალში გამოქვეყნებული “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში” [მიმოხილულია](#) მუნიციპალური პროგრამების განხორციელების პროცესში გამოვლენილი არაერთი ნაკლოვანება, ასევე მუნიციპალიტეტში კონტროლის არსებული მექანიზმების სისუსტე. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში მერის თანამდებობას 2017 წლის ნოემბრიდან ფოთის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეული ირაკლი კაკულია იკავებდა, რომელიც უკვე 2019 წლის 8 ნოემბერს ფოთის მერიის ყოფილ და მოქმედ მაღალჩინოსნებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვისა და მითვისების ბრალდებით [დააკავა](#).

1 მუხლი 24-ე, პიურველ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“

2 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

# თავი 6. ანასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებადი საქმიანობა

ფოთის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად, ხარვეზებით შევსების საკითხი. ფოთის საკრებულოს 17 თანამდებობის პირიდან (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) დეკლარაცია 5 თანამდებობის პირს აქვს არასრულად შევსებული.

## კანონმდებლობის მოთხოვნა:

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ [კანონის](#)“ თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშნვიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია<sup>3</sup>, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ<sup>4</sup>, სამენარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს<sup>5</sup> და თანამდებობაზე დანიშნვიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამენარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია<sup>6</sup>.

## ხარვეზები ფოთის საკრებულოს თანამდებობის პირთა დეკლარაციებში:



### ირაკლი კაკულია

ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე (ყოფილი)

ირაკლი კაკულიას 2019 წლის აპრილში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს „ბლექ სის“ 50% წილისა და შპს „კარიბჭის“ 25%-ის მფლობელი.



### ბაქარ ჯიანი

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეებაქარ ერაგიას 2019 წლის იანვარში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “[ბი ბი ჯი გრუპის](#)” 50% წილის მფლობელი.

3 მუხლი მე-14, პუნქტი 1  
4 მუხლი მე-15  
5 მუხლი მე-16, პუნქტი მე-6  
6 მე-14 მუხლი, პუნქტი მე-10



## **დათო სომერიანი**

*ფრაქცია “ფოთის” თავმჯდომარე*

დათო ხომერიკს 2019 წლის თებერვალში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “[ვეტერან სპორტსმენტა კლუბი ბერმუხას](#)” 20% წილის მფლობელი.



## **თორნიკე ხარჩილავა**

*ფრაქცია “ქართული ოცნების” თავმჯდომარის მოადგილე*

თორნიკე ხარჩილავას 2019 წლის მარტში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “[ფოთიგალვანიზმეტალის](#)” 40% წილის მფლობელი.



## **დავით ესებუა**

*ფრაქცია “ქართული ოცნება - მრეწველების” თავმჯდომარის მოადგილე*

დავით ესებუას 2019 წლის მარტში შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს “[კვიპაროსის](#)” 55% წილის მფლობელი.

## თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ფოთის საკრებულოს [რეგლამენტი](#) არ არის დაზუსტებული საკრებულოს წევრის მიერ სხდომის გაცდენისას რა შემთხვევა ითვლება არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” ჩანაწერს, რომლის [თანახმადაც](#) საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი “არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში”.

ფოთის საკრებულოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში საკრებულოს და კომისიის სხდომების გაცდენის მიზეზი განმარტებულია შემდეგნაირად - “მიზეზი უცნობია”, რაც, სავარაუდოდ, გულისხმობს, რომ წევრი საკრებულოს ან/და კომისიის სხდომის გაცდენისას არ იმყოფება შვებულებაში ან სამსახურეობრივ მივლინებაში.

### **მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:**

საკრებულოს წევრთა მიერ საკრებულოს სხდომების გაცდენის 373 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 341-ჯერ - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა (42 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია “ქართული ოცნების” წევრმა, აპოლონ ბჟალავამ და ფრაქცია “კოლხეთის” თავმჯდომარემ, მათ ჩხარტიშვილმა გააცდინეს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [დანართში](#).

### **მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:**

საკრებულოს წევრებმა კომისიების სხდომები გააცდინეს 529-ჯერ, მათ შორის 495-ჯერ - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი (77) სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია “კოლხეთის” თავმჯდომარემ, მათ ჩხარტიშვილმა. კომისიის სხდომის გაცდენების რაოდენობით ლიდერებს შორის არიან - ფრაქცია “კოლხეთის” თავმჯდომარის მოადგილე, პაატა ჩაგანავა (67 სხდომა) და ფრაქცია “ფოთის” თავმჯდომარე, დათო ხომერიკი (56 სხდომა).

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრთა შორის თამარ თოფურია ერთადერთია, რომელსაც კომისიის სხდომები არც ერთხელ არ გაუცდენია.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ [დანართში](#).



## თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ფოთის საკრებულომ მიიღო ყველა ის რეგულაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობას მუნიციპალიტეტის, მათ შორის საკრებულოს საქმიანობაში:

- დანერგილია პეტიციის ელექტრონული სისტემა;
- მოქალაქეებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ელექტრონულადვე მიმართონ მუნიციპალიტეტს კონკრეტული ინიციატივით, ასევე ვებ-გვერდის მეშვეობით გამოითხოვონ სასურველი ინფორმაცია;
- ფოთის საკრებულომ დაადგინა სპეციალური წესი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეს აქვს უფლება საკრებულოს სხდომამდე 2 დღით ადრე მიმართოს საკრებულოს და დარეგისტრირდეს საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად, თანამომხსენებლად ან/და გააკეთოს სპეციალური განცხადება, თუმცა ეს წესი მოქალაქეს არ უზღუდავს შესაძლებლობას რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს იგივე ქმედებები;
- საკრებულოს სხდომები გადაიცემა სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ფოთის საკრებულოს თანამდებობის პირები განუული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში ორჯერ წარადგენენ, მაშინ როდესაც თვითმმართველობის კოდექსით ანგარიშის მინიმუმ ერთხელ წარდგენის ვალდებულებაა დაწესებული;
- საკრებულო მერიასთან ერთად [მართავს](#) ბიუჯეტის საჯარო [განხილვას](#);
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფოთის საკრებულოში დარეგისტრირდა 4 პეტიცია შემდეგი მოთხოვნებით:

ფოთის საკრებულოში განხილული პეტიციები	
პეტიცია	განხილვის შედეგი
ფოთის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანა	დაკმაყოფილდა ნაწილობრივ
ფოთის ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსების წესის მიღება	მხარდაჭერილ იქნა
ფოთის საკრებულოს წევრთა მიერ ანგარიშის წარდგენის წესის შეცვლა	მხარდაჭერილ იქნა
მიუსაფარი ცხოვრებების მოვლის საკითხი	მხარდაჭერილ იქნა

ფოთის საკრებულომ მიიღო წესები, რომლებიც არეგულირებს დასახლების საერთო კრების მოწვევის პროცედურებს, თუმცა მიუხედავად ამისა დასახლების საერთო კრება ფოთის მუნიციპალიტეტში ჯერ არ გამართულა და მოქალაქეებს ჩართულობის ამ მნიშვნელოვანი მექანიზმით არ უსარგებლიათ.

## თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ფოთის საკრებულოში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის სამოქმედო გეგმა საკრებულომ დაამტკიცა 2019 წლის 26 ივნისს. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ძირითადი ნაწილი წინამდებარე კვლევის საანგარიშო პერიოდის შემდგომ დროზეა გათვლილი. გენდერული თანასწორობის საბჭოს ჯერჯერობით ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მიღებული არცერთი სამართლებრივი აქტის ანალიზი არ განუხორციელებია.

# თავი 10. ქალაქ ფოთის საკრებულოს საჩუბი

## სახელფასო ანაზღაურება და პრემია:

ფოთის 2017 წლის მონვევის საკრებულოში საკრებულოს წევრებზე (17 პირი) და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე (27 პირი) გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ 1,921,546 ლარი შეადგინა, პრემიისა და დანამატის სახით კი ჯამში 167,550 ლარი გაიცა.

ფოთის 2017 წლის მონვევის საკრებულოში გაცემული შრომის ანაზღაურება და პრემია		
წელი	შრომის ანაზღაურება	პრემია
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	59,316	56,850
2018 წელი	909,272	74,800
2019 წელი	952,958	35,900
<b>ჯამი</b>	<b>1,921,546</b>	<b>167,550</b>

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გრაფიკებში:

საკრებულოს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება და პრემია			
სახელი გვარი	თანამდებობა	შრომის ანაზღაურება	პრემია
ირაკლი კაკულია	საკრებულოს თავმჯდომარე	72,883	5,850
აკაკი დარჯანია	თავმჯდომარის მოადგილე	68,052	5,200
ხვინა ცხვიტარია	კომისიის თავმჯდომარე	63,356	4,900
ბექა ვაჭარაძე	კომისიის თავმჯდომარე	63,174	4,900
თორნიკე შონია	კომისიის თავმჯდომარე	63,086	4,900
თორნიკე კირთაძე	კომისიის თავმჯდომარე	63,086	4,900
ბაქარ ერაგია	კომისიის თავმჯდომარე	63,086	4,900

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურებისა და პრემიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ გრაფიკში:

<b>ფრაქციის თავმჯდომარეებზე და მათ მოადგილეებზე გაცემული შრომის ანაზღაურება და პრემია</b>			
<b>სახელი გვარი</b>	<b>თანამდებობა</b>	<b>შრომის ანაზღაურება</b>	<b>პრემია</b>
ზურაბ ჩაჩუა	“ქართული ოცნება” - თავმჯდომარე	60,914	4,900
ზვიად დგებუაძე	“ქართული ოცნება-კოსნერვატორები” - თავმჯდომარე	61,486	4,900
ჯემალ მიგინეიშვილი	“ქართული ოცნება-მრეწველები” - თავმჯდომარე	61,486	4,900
დათო ხომერიკი	“ფოთი” - თავმჯდომარე	60,620	2,500
მაია ჩხარტივილი	“კოლხეთი” - თავმჯდომარე	57,801	2,500
სამსონ კუტალია	“ქართული ოცნება” - მოადგილე	52,741	2,200
თორნიკე ხარჩილავა	“ქართული ოცნება” - მოადგილე	23,650	
დავით ესებუა	“ქართული ოცნება-მრეწველები” - მოადგილე	52,773	2,200
მამუკა ხორავა	“ფოთი” - მოადგილე	52,764	2,200
პაატა ჩაგანავა	“კოლხეთი” მოადგილე	51,028	2,200

**სამივლინებო ხარჯები:**

ფოთის საკრებულოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე საანგარიშო პერიოდში, ჯამში **8,453** ლარი გაიხარჯა.

<b>ფოთის 2017 წლის მოქვეყნის საკრებულოში მივლინებებზე განეული ხარჯი</b>	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	1,064
2018 წელი	4,788
2019 წელი	2,601
<b>ჯამი</b>	<b>8,453</b>

### სატელეკომუნიკაციო ხარჯები:

ფოთის საკრებულომ სატელეფონო კომუნიკაციაზე **14,007** ლარის ხარჯი გასწია.

<b>ფოთის 2017 წლის მოქვევის საკრებულოში სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯი</b>	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	1,017
2018 წელი	6,348
2019 წელი	6,642
<b>ჯამი</b>	<b>14,007</b>

### საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება:

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” საკრებულოს იმ წევრისთვის, რომელიც არ იკავებს თანამდებობას და შესაბამისად არ აქვს ანაზღაურება, ითვალისწინებს საკრებულოს წევრობისთვის გაწეულის ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, რომლის ჯამურმა ოდენობამაც ფოთის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში **73,162** ლარი შეადგინა.

<b>ფოთის 2017 წლის მოწვევის საკრებულოში საკრებულოს წევრობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება</b>	
2017 წელი (ნოემბერი-დეკემბერი)	10,402
2018 წელი	35,732
2019 წელი	27,028
<b>ჯამი</b>	<b>73,162</b>

### ავტომობილები და საწვავის ხარჯები:

ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბალანსზე ერთი ავტომობილი ირიცხება, რომლითაც სარგებლობდნენ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს აპარატი. ავტომობილის მარკაა “Volkswagen Passat”, რომელიც 2012 წელსაა წარმოებული და იგი მუნიციპალიტეტმა 2013 წელს 49,100 ლარად შეიძინა. მის შეკეთებაზე კი ჯამში 16,092 ლარი დაიხარჯა (2017 წელს - 717 ლარი, 2018 წელს - 11,302 ლარი და 2019 წელს კი 9,379 ლარი).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდული საწვავით მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირები სარგებლობენ, თითოეული მათგანისთვის საწვავის კონკრეტული ლიმიტებია დაწესებული. ლიმიტის ყველაზე დიდი მოცულობით - ერთ თვეზე 600 ლიტრი, საკრებულოს თავმჯდომარე სარგებლობს, სხვა თანამდებობის პირების ლიმიტი კი 70 ლიტრითაა განსაზღვრული.

ჯამში, ფოთის საკრებულომ 34.8 ტონა სანვაკი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **68,303** ლარი შეადგინა.

<b>ფოთის საკრებულოს მიერ გახარჯული სანვაკი</b>		
<b>წელი</b>	<b>ლიტრი</b>	<b>ღირებულება</b>
2017 (ნოემბერი-დეკემბერი)	764	1,408
2018	17,956	38,550
2019	16,162	28,345
<b>ჯამი</b>	<b>34,882</b>	<b>68,303</b>

რაც შეეხება ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი კაკულიას, მის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 14 ტონაზე მეტი (14,131 ლიტრი) სანვაკი იქნა გახარჯული, ჯამური ღირებულებით - 30,333 ლარი, რაც ბოგადად ფოთის საკრებულოს მიერ ამავე პერიოდში გახარჯული სანვაკის 40% შეადგენს.

# ჩაკონტროლებადი

## კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხებველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, გადადგან ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხებველობის მიზნით;
- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხებველობის სფეროში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;
- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

## საკრებულოს სხდომები:

- ფოთის საკრებულომ უნდა დახვეწოს მუშაობის საორგანიზაციო მხარე, შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, რადგან აღნიშნული ხელს უშლის მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობას, სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობას.

## ანგარიშვალდებულება:

- საკრებულოს, ისევე როგორც კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაუჯობესდეს. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს სხდომებს. ამასთან, საკრებულოს თითოეული წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი უნდა იყოს გამორკვეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული;
- თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

## ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქცია აქტიურად უნდა ჩაერთოს საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების განხილვისა თუ გადაწყვეტის პროცესში, შეისწავლოს/გააკონტროლოს მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგეს საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთოს ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდის თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას. შესაბამისად, მოვუწოდებთ ფრაქციებს, აღნიშნული ინსტრუმენტები აქტიურად გამოიყენონ.

## საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ განეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;
- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსური რესურსების ეკონომიაზე.

## პეტიცია:

- კანონმდებლობა თვითმმართველობებს აძლევს შესაძლებლობას პეტიციის საჭირო ხელმომწერთა რაოდენობა [შეამცირონ](#) მათთვის სასურველ ნებისმიერ ოდენობამდე. თვითმმართველობის კოდექსი აწესებს მხოლოდ ზედა ზღვარს - 1%, რაც ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მოქალაქეების დიდი ოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა, რთულად შესასრულებელი მოთხოვნა იყოს;
- იმის გათვალისწინებით, რომ საანგარიშო პერიოდის განვალბაში საკრებულოში მხოლოდ 3 პეტიცია იქნა რეგისტრირებული, მიგვაჩნია, რომ ფოთის საკრებულომაც უნდა შეამციროს პეტიციაზე ხელმომწერთა რაოდენობის ქვედა ზღვარი და 1% ნაცვლად დაანესოს 0.3 ან 0.5 პროცენტი, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს პეტიციის მომზადების პროცედურას.

## დასახლების საერთო კრება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს, მისი მონვევის უფლება აქვთ როგორც ამომრჩევლებს, ასევე მუნიციპალიტეტის მერს საკუთარი ინიციატივით ან საკრებულოს შუამდგომლობით;
- რადგანაც ფოთში დასახლების საერთო კრება ჯერ არ ჩატარებულა, მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს ინიციატივით ამოქმედდეს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს მისი ჩატარების შუამდგომლობით. დასახლების საერთო კრების ჩატარება მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელია ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმავად.